1894 წელსა, № 23—24 1—30 დეკემბერს.

მწყემსი

ოფიციალური განყოფილება.

უმაღლესი მანიფესტი.

წყალობითა ღვთისათა

ჩვენ, ნიკოლოზ მეორე,

იმპერატორი და თვითმპყრობელი სრულიად რუსეთისა,

მეფე პოლონეთისა, დიდი მთავარი ფინლიანდიისა,

და სხვა და სხვა და სხვა.

ეუცხადებთ ყველა ჩვენთა ერთგულ ქვეშევრდომთა:

ძურთხევითა ღვთისათა დღეს საკრებულო ეკლესიაში საზამთრო სასახლისა, სასულიერო და საერო გვამთა თანადასწრებითა, აღსრულდა ჩვენი ქორწინება საყვარელისა ჩვენისა სასძლოჲს, კეთილმორწმუნისა დიდისა მთავრისა საალექსანდრა დიდის ჰესენის ჰერცოგის თეოდორეს ასულისათანა.

მწუხარების შამს, რომლითაც აღვსილ არიან გულნი ჩვენნი და ყოველი ერთგული რუსეთის შვილისა, დღეს ესე იქმნეს ბრწყინვალე მაუწყებლად ერისა სასოებათა, რომელ ღმერთი განაგრძობს თვისსა წყალობასა ჩვენ ზედა ამ ახლად დაწყებულის მეფობის მიმდინარეობასა შინა.

ვჩრუნავთ-რა მისისა მომავალისათვის, ჩვენ საკეთილოდ შევრაცხეთ არ დაგვეყოვნებინა და შეგვესრულებინა ჩვენი გულითადი სურვილი, საღმრთო და დაურღვეველი ჩვენდამო ანდერძი მშობლისა ჩვენისა და მთელი ერის სასიხარულო ლოდინი, რათამცა დამტკიცებულიყო ნაკურთხი მშობელთაგან ჩვენთა ქორწინებითი კავშირი ჩვენი წმიდის ეკლესიის საიდუმლოთი.

ყოველნი ერთგულნი ჩვენნი ქვეშევრდომნი შეეევედრებიან ჩვენთანავე, რათამცა უფალმან გარდამოსცეს კურთხევა კავშირსა ჩვენსა და სასიკეთოდ რუსეთისა მოგვანიჭოს ჩვენ იგივე აღუშფოთველი ბედნირება, რომლითაცა კურთხეულ იყო სახლსა შინა თვისსა დაუვიწყარი ჩვენი მშობელი სამცნებელად და სანუგეშოდ ყოვლისა ერისა.

ბოძებულ იქმნა ს.-პეტერბურღში, ნოემბრის 14 დღესა, ქრისტეს შობიდგან ათას რვაას ოთხმოცდა მეთოთხმეტესა წელსა, ხოლო მეფობასა ჩვენსა პირველსა.

ნამდვილსა ზედა საკუთარის ხელით მისის იმპერატორებითის უდიდებულესობისა აწერია:

«ნიკოლოზ».

უმაღლესი უქაზები

უწმიდესი უმართებელესი სინოდის სახელზედ.

I

ებრძანებთ, რათა უსაყვარლესის მეუღლისა ჩვენისა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის დაბადება იდღესასწაულონ მაისის 25 დღესა, ხოლო სახელწოდება აპრილის 23 დღესა.

II

ებრძანებთ, რათა დაბადება მისი იმპერატორებითი უმაღლესობის ხელმწიფე მემკვიდრე ცესარევიჩისა და დიდისა მთავრისა გიორგი ალექსანდრეს ძის დაბადება იდღესასწაულონ აპრილის 27 დღესა, ხოლო სახელწოდება ნოემბრის 26 დღესა.

ნამდვილზე საკუთარის მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ხელით აწერია:

«ნიკოლოზ».

უმაღლესი მანიფესტი.

(გაგრძელება *)

7) ამა წლის შემოდგომის ვადებიდგანვე შემცირდეს თანხის სამატი სარგებლი, რომელსაც უხდიან მსესხებელნი საგლეხო სადგილ-მამულო ბანკებს, ამა ბანკიდგან აღებულს სესხში, წლიურად, ერთის მანეთით ყოველ ას მანეთზედ ვალის პირველ-დაწყებით ჯამიდგან.

8) რათა შეძლება მიეცეს საგლეხო სადგილ-მამულო ბანკს იმ წესების საფუძველით, რომელიც ამ საგნის შესახებ უნდა იყოს გამოცემული, გლეხთა წოდების უმრავლესობას დახმარება აღმოუჩინოს მიწების შესაძენად, ყოველ წლივ, 1895 წლიდგან დაწყებული, ამა ბანკის თანხას მიემატოს გლეხთაგან შემოსულ მათდა მოზომილ მიწის გარდასახდელ („ნადელის") ფულის რაოდენიმე ნაწილი ამ ანგარიშით: ერთი პროცენტი იმ ფულიდგან, რამდენიც შემოვა ამ გარდასახადისა, თუ ეს ფული გაწერილის ცხრა მეათედს არ აღემატება; ამას გარდა ერთი მესამედი გაწერილი ფულის დანარჩენ მეათე ნაწილიდგან, ხოლო თუ შემოსული ფული აღემატება გაწერილს, ამ აღმატებულის ნახევარიც. ეს ფული იმ დრომდე მიემატოს თანხას ბანკისას, ვიდრე ეს თანხა ორმოც-და-ათ მილიონ მანეთამდე არ შესრულდება.

9) ეპატიოს ხაზინის მიწების, იჯარით გასაქირავებელ მიწებისა და სათევზო სამრეწველოებისა, ხოლო კასპიის ზღვის სანაპიროების სამრეწველო ქარხნების გასამართ მიწების (1893 წლის გამოცემულის სასოფ. მეურ. წესდების მე-494 მუხლი (მე-2 სხოლიო) დამატ.) მოიჯარადრეებს საიჯარადრო ფული, რომელიც უნდა შემოეტანათ 1893 წ. პირველ იანვრამდე, მაგრამ არ გარდახდენიათ, თითოეულს 600 მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ხსენებული მამული, იჯარით გასაქირავებელი მიწა, სამრეწველო ანუ ნაწილი მიწისა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული, თითო მეურნეს ას-ასი მან. ეპატიოს.

10) ეპატიოს აქამდე გამოურთმეველი ზარალი, ვალად დაკისრებული ფული და ჯარიმა, თუ იმიტომ აქვთ შეწერილი, რომ ხაზინის მამულებისა და საიჯარადრო მიწების ხელშეკრულობის პირობანი არ შეასრულეს და დაარღვიეს, ან მომეტებული მიწა მოხნეს, ჯეროვანი პური და მცენარე არ დათესეს, მიწა არ გააპოხიერეს, ხეები არ დარგეს, ამ მიწებზედ ამოსული ტყე გასჩეხეს, შენობანი დაანგრიეს, სამეურნეო ანგარიში წესიერად არ აწარმოეს, მამულებისა და მიწების მოძრავი ქონება არ ჩააბარეს ხაზინას, ხელშეკრულობით სავალდებულო რაოდენობა მარილისა არ შეიმუშავეს, — თითოეულს სამასს მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო ხელახლად გაბეგვრის შემდეგ საიჯარადრო ფული შემცირებულ, — თითოეულის სამას მანეთზედ არა უმეტესა, ხოლო თუ მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული — ორმოცდა ათი მან. თითო მეურნეს; ასევე ნუ გარდახდებათ ზარალი თუ ამავე მამულებისა და მიწების მამული და მიწა გლეხთა და მკვიდრ მცხოვრებელთა საზოგადოებათა აქვთ იჯარით აღებული, თითო მეურნეს ორმოც-და-ათი მან. ასევე ნურაფერი ჯარიმა ნუ შეეწერებათ სხვა ამ გვარ ხელშეკრულობისა დღევანდლამდე დარღვევისათვის.

11) ნუ გამოერთმევათ ის ზარალი, რომელიც იმის გამო მომხდარი, რომ მოიჯარადრეებს დღევანდლამდე ხელ-შეკრულობის ვადა დაურღვევიათ და თავი დაუნებებიათ ხაზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და საიჯარადრო მიწებისათვის და თუ ამ მამულებისა და მიწების მოიჯარადრეებმა ხელ-შეკრულობის დადებამდე უარი განაცხადეს იჯარისაგან, ზარალის იმ ნაწილის გარდა, რომლის შევსებაც მოიჯარადრეთა მიერ წინდად შეტანილ ფულიდგან შეიძლება.

12) ეპატიოთ ხაზინისა, კაბინეთისა, ხელმწიფისა, სასახლისა და საუფლისწულო მამულებისა და საიჯარადრო მიწების ყოფილ და აწინდელ მოიჯარადრეთ აქამდე გარდაუხდელი ჯარიმა, როგორც საიჯარადრო შესატან ფულისა, ისე სამარილე წყაროებისა და ფისისა და კუპრის ქარხნების იჯარის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისათვის.

II. არა ვსტოვებთ რა წყალობისა ჩვენისა გარეშე იმათ, რომელთაც, ქონების მხრივ შეუძლებლობისა ან უბედურ გარემოებათა გამო, ვერ შეიძლეს და ვერ შეასრულეს მთავრობისაგან დაკისრებულნი ვალდებულებანი, ვბრძანებთ:

1) ეპატიოს ჯარიმანი დღევანდლამდე იმ სახელ-

*) იხ. «მწყემსი» № 22, 1894 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწიფო გაწერილის ხარჯისა, ნასყიდობის და უფასოდ გადასულ მამულის გარდასახადის დროზედ შეუტანლობისა.

2) ეპატიოს მიწერილი, ანუ გარდასახდელი, ხოლო ჯერ ისევ გარდაუხდელი ჯარიმა იმისი, რაც დღევანდლამდე დარღვეულია: ა) დებულებს გაჭრობისა და სხვა მრეწველობათა უფლებისათვის გარდასახადისა, ბ) წესები ორთქლის ქვაბების გარდასახადისა (უმაღლესად 1894 წლის 14 მარტს დამტკიცებული სახელმწიფო საბჭოს აზრი). და გ) მრეწველობის წესდების მე-153—156 მუხ. (კანონთა კრებულის მე-XI ტ., მე-II ნაწ., გამოც. 1893 წ.), თუ ეს ჯარიმა ყოველ დარღვევისათვის 300 მანეთს არ აღემატება, ხოლო თუ აღემატება, იმათ მხოლოდ 300 მან. ეპატიოთ.

3) ამოიწეროს ანგარიშიდგან საპატიებლად ყველა გარდაუხდელი და შემოუტანელი გარდასახადი 1894 წლის პირველ იანვრამდე გაჭრობისა და მრეწველობის უფლებისა (კანონთა კრება მე-V ტ., პირდაპირ სახ. წესდ. მე-213 მუხ., გამოც. 1893 წ.), ორმოც-და-ათ მანეთზედ არა უმეტესი, ხოლო თუ ამ ჯამს აღემატება, თითოეულს მხოლოდ ამდენი ეპატიოს. ეს შეღავათი არ მიეცემათ იმათ, რომელთაც შესავსებელ ხუთ-პროცენტიან გარდასახადის შემოუტანელი ფული აქვთ ვალად.

4) ეპატიოთ და არ გარდახდეთ შეწერილი ანუ დაკისრებული, მაგრამ ჯერ ისევ შეუტანელი დღევანდლამდე ხაზინაში ის ჯარიმა გერბის გარდასახადის წესდების დარღვევისა, რომლის გარდახდევინება დადგენილია დღევანდლამდე ამ ხუთისა და მეტის წლიდგან.

5) ეპატიოთ სრულიად დღევანდლამდე შემოუტანელი გარდასახადი ჯარიმითურთ.

ა) იმ გადასახლებულებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მიწებზედ მინისტრთა კომიტეტის 1881 წ. 10 ივნისსა და 1884 წ. 17 თებერვალს უმაღლესად დამტკიცებულ დებულებისა და აგრეთვე 1889 წ. 13 ივლისის წესების საფუძვლით, — ამა მიწების საიჯარადრო ფულისა (ევროპის რუსეთში) ანუ ბეგარისა, (ციმბირში);

ბ) გლეხებსა და მკვიდრ მცხოვრებლებს, რომელნიც გარდასახლებულან, სოფლის მკვიდრთა და მკვიდრთ მცხოვრებლებთა თავისის ნებით ხაზინის მიწებზედ გარდასახლების წესების თანახმად (საზოგადო დებ. მე-33 მუხ. მე-2 სხოლიოს დამატ. გაგრძ. 1891 წ., მე 19—24 მუხ. და აგრეთვე სახელმწიფო საბჭოს 1892 წ. 20 აპრილს უმაღლესად დამტ. აზრი 1892 წ. „კანონ დებ. კრებ.“ მე II ნაწ., მე-54 № რი, მე-543 მუხ.), შემდეგს გუბერნიებსა და ოლქებში: სამარისა, ორენბურგისა, უფისა, ტობოლსკისა, ტომსკისა, ირკუტსკისა, ენისეისა, ურალისა, ტურგაისა, აკმოლინისა, სემიპალატინსკისა და სემირეჩენსკისაში,— იმ სახაზინო გარდასახადისა, რომელიც წინანდელ საზოგადოებებში ყოფნის დროს უნდა გარდაეხადათ.

6) ეპატიოს ყველა 1894 წ. პირველ იანვრამდე გარდაუხდელი შემოსატანი ნადირთა ტყავის გარდასახადისა და ბეგარისა, რომელსაც იხდიან ქუჩად მავალი, მოტანტალე და ბინადარნი უცხო ტომის ხალხნი ჩვენის კაბინეტის სასარგებლოდ.

7) ეპატიოთ ამა დღემდე ყოველ-გვარი გარდასახდევინებელი და ჯარიმა სახაზინო გლეხებსა და ხაზინის სამთო ქარხნების მუშებად ყოფილთ და აგრეთვე იმ გლეხებს, რომელნიც დაბინადრებულნი არიან ხაზინის მიწებზედ, როგორც პირადად მათგან, ისე საზოგადოებათა და სოფელთაგან გამოსართმევი ფული ხაზინის იმ მამულებითა და საიჯარადრო მიწებით სარგებლობისათვის, რომელიც შემდეგ მათვე „ნადელად“ მიეცათ.

8) ნუ გამოერთმევათ ვალი ას ორმოც და-ათ მანეთზედ არა უმეტესი, იმ სხვა-და-სხვა წოდების ხელოსნებსა და მუშებს, რომელთაც ეს ვალი დასდებიათ ხაზინისა და კაბინეტის სამთო ქარხნებში მუშაობის დროს, აგრეთვე ამ ქარხნებისათვის მასალისა და თადარიგის მომზადების საქმეში; ხოლო თუ ამ ვალისა 150 მანეთზედ მეტი აქვთ შეუტანელი, ყოველ ვალისა 150 მან. გამოერიცხოთ.

9) ეპატიოთ შემოუტანელი ფული საადგილმამულო ბეგარისა, რომელიც დღევანდლამდე დასდებიათ საწესდებო სიგელით (уставная грамота) ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების ქარხნების მომუშავებად ნამყოფს გლეხებს და საზოგადოდ მიწებით სარგებლობისათვის საწესდებო სიგელთა გარეშე.

10) გარდასახდელ ნუსხიდგან გამოირიცხნენ და შესატანი ფულიც ეპატიოთ ალტაის სამთო ოლქის იმ ხელოსნებსა და დღიურად მომუშავეებს, რომელნიც სასოფლო საზოგადოებაში არიან გადარიცხულნი და მიწები-კი არ მისცემიათ „ნადელად“.

11) ეპატიოთ ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების მომუშავეებს დღევანდლამდე მათზედ დარჩენილი ვალი იმ სესხისა, რომელიც მიცემული აქვთ სხვა-და-

სხვა შემთხვევისა გამო და ჯამაგირში ამ თავით ფულად და სურსათად.

12) ეპატიოთ პურად აღებული ვალი ბაიკალის იქითა მხრის ჯარის მიწად-მომქმედ ყაზახებსა და გლეხებს, რომელიც დასდებიათ წინად, ნერჩინსკის სამთო ოლქთან მთავარ-საკომისიონეროს დაარსებამდე —1869 წლამდე.

13) ეპატიოს სარგებელი, რომელიც დღევანდლამდე შეკრებილია ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქებში ვალად გაცემულ ტყის საფასურისა, და ანგარიშიდგან გამოირიცხოს.

14) ეპატიოთ და ანგარიშიდგან გამოირიცხოს ის გარდასახდელი ვალი, რომელიც დღევანდლამდე დასდებიათ გამოანგარიშების შემდეგ აღმოსავლეთ ციმბირის მარილის მზიდველ მცხოვრებლებს.

15) ეპატიოთ სათევზო და ზღვის ღორის წარმოების წესდების დამრღვევლეთ კასპიის ზღვისა და ამიერ კავკასიის მხრის აღმოსავლეთ ნაწილის წყლებში ის ნაწილი გარდასახდელ ფულისა, რომელიც შეწერილი აქვთ, მაგრამ ჯერ არ გადაუხდიათ. 1894 წლამდე და რომელიც, 1893 წ. სახოფლო მეურნეობის წესდ. მე-646 მუხ. მე 2 სხოლ. და მე 769 მუხ. ძალით, ხაზინაში უნდა იქმნას შეტანილი, ხოლო სამასს მანეთზედ არა უმეტესი კი თითოეულს.

16) ეპატიოთ დღევანდლამდე გარდაუხდელი შემოსავალი ფული: ა) მინისტრთა კომიტეტის 1868 წ. 22 ნოემბერსა და 1876 წ. 14 მაისს უმაღლესად დამტკიცებულ დებულების ძალით მურმანის გარდასახლებულთათვის მიცემულ სესხისა, რომელთაც ისარგებლეს ამ სესხით და მურმანის ნაპირად დაბინადრდნენ, —ყოველ სესხზედ ას-ორმოც-და ათ მანეთზედ არა უმეტესი, და ბ) აღარ გამოერთვათ ყოველ სესხის აწ ვალად მყოფ არა ნახევარზედ უმეტესისა მურმანის თევზის მწარმოებელთ, რომელთაც ეს სესხი მიცემული აქვთ სახელმწიფოს საბჭოს 1886 წლის უმაღლესად დამტკიცებულ აზრის საფუძველით.

17) აღმოირიცხოს ანგარიშიდგან ის ზარალი, რომელიც დღევანდლამდე მოსვლია ხაზინას ჯარის-კაცთა, იმათ ცოლთა და ქვრივთა სასარგებლოდ შემწეობის უკანონოდ დანიშვნის გამო, იმ შემწეობისა, რომლის გაცემაც დადგენილია უმაღლესად დამტკიცებულის 1867 წ. 25 ივნისს სამსახურ გარეშე მყოფთა და უვადოდ დათხოვნილთა ჯარის-კაცთა მოწყობის დებულებით, 1872 წ. 6 ივნისს პოლონეთის სამეფოს საქმეთა კომიტეტის დებულებითა, 1875 წ. 18 ოქტომბერს სახელმწიფოს საბჭოს აზრით და აგრეთვე სამხედრ. ბეგარ. წესდ. მე-33 მუხლით.

18) ეპატიოს სამსახურ გარეშე მყოფ ჯარის-კაცებს, იმათ ოჯახობათა და გლეხთა დ მკვიდრთ მცხოვრებელთა საზოგადოებათ დღევანდლამდე ის შესატანი ფული, რომელიც უნდა გადაეხდეს ხსენებულ ჯარის-კაცებსა და იმათ ოჯახობის წევრთ ხაზინის საავადმყოფოებსა და სამკურნალოებში წამლობისათვის და აგრეთვე დღევანდლამდევე ვალი ყველა იმათ, რომელნიც სასახლის უწყების საავადმყოფოებში წოლილან და ხარჯი არ გადაუხდიათ.

19) ნუღარ გადაჰხდებათ 1894 წ. პირველ იანვრამდე ვალად დარჩენილი სხვა-და-სხვა გუბერნიების თავად-აზნაურობაზედ ის ფული, რომელიც უნდა გადაეხადათ საერო განათლების სამინისტროს სასწავლებლების პანსიონებში მყოფ თავად-აზნაურთა მოსწავლე შვილების ხარჯად; ამასთანავე აღმოირიცხოს საერო განათლების სამინისტროს განსაკუთრებულ შემოსავლების ანგარიშიდგან ხარჯი წინანდელ წლებისა და 1893—94 წ. მეორე ნახევარ წლისა, ე. ი. 1894 წლის პირველ ივლისამდე, როგორც მამათა, ისე დედათა სასწავლებლებში სწავლისა, ლექციების მოსმენისა და პანსიონში ცხოვრებისა.

20) ეპატიოთ ნაწილი იმ სესხისა, რომელიც ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქებში აქვთ მიცემული მოხელეებსა, კანცელარიის მოსამსახურეთა და დაქირავებულთ მსახურთ შინა საქმეთა მოსაწყობად და მოსაგვარებლად იმ პირობით, რომ ჯამაგირიდგან გამოერიცხოთ ხოლმე, რაც-კი დღევანდლამდე გარდუხდელია; ხოლო ეს შეღავათი არ მიეცემათ იმ მსესხებელთ, რომელთაც წელიწადში სამასს მანეთზედ მეტი ჯამაგირი აქვთ.

21) ეპატიოთ ყოველი გამოსარიცხი ფული იმათ, რომელთაც დღევანდლამდე მეტი ფული წაუღიათ ხაზინიდგან პენსიისა ანუ ალტაისა და ნერჩინსკის სამთო ოლქების ქარხნების ფულისა, თუ ბრალი არ ედებათ და სამართალში არ არიან მიცემულნი იმის გამო, რომ განზრახ, ანგარებით ანუ სხვა არა კანონიერ საგნით ზარალი მიაყენეს ხაზინასა.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვპოვე ცხოვარი ჩემი წარწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 23—24 1883—1894 1—30 დეკემბერს.

შინაარსი: ოფიციალური ნაწილი: უმაღლესი მანიფესტნი.
— არა ოფიციალური ნაწილისა: 1894 წელიწადი.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში.—ეკლესიის კურთხევა სოფ. უშაბათში.—სოფ. ალისუბანი.—მაცხოვრის შობისა გამო (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები.—წმ. მოწამე შუშანიკი.—განცხადებანი.

1894—1895 წ.

წარსული წლის დამლევს დიდის აღტაცებით, დიდის ამბით და სიხარულით ვეგებებოდით ამა მიმდინარე 1894 წელს. გვეგონა, ამ წელში ბევრს რასმეს გავაკეთებდით, ბევრს რასმეს შევიძენდით, წინ წავიწევდით, ძველ ცუდ საქცევლს მოვსპობდით და კეთილ ქრისტიანულ ცხოვრებას დავამყარებდით ჩვენს სამწესოში; მაგრამ ბევრი ნატვრა-მოლოდინი არ აგვისრულდა; ბევრი ჩვენი გულის თქმა ისევე გულის თქმად დარჩა და სისრულეში ვერ მოვიყვანეთ; ვერ აღვისრულეთ ჩვენი გულის წადილი, ბევრს რასმეს კეთილს ვფიქრობდით ჩვენი თავისა და სამწესოსათვის, მაგრამ ხელი შეგვიშალა ზოგს სიღარიბემ, ზოგს ოჯახის გარემოებამ, ზოგს ტუსლა უბრალოდ დროს გატარებამ და სხვათა კიდევ სხვა მიზეზებმა.

ერთმა წელმა, სამას სამოცდა-ხუთმა დღემ ისე მალე გაიარა, ასე გვგონია, თითქოს

წარსული წლის დეკემბრის ლა რიცხვი გუშინ უოფილიუოს. ასე გარბის ჩვენი ცხოვრება და ჩვენც მალაუნებურად მივჩანჩალებთ უკან; ვფიქრობთ, რომ ჯერ ახალგაზდები ვართ, იმედი გვაქვს, რომ კიდევ მოვესწრებით ყველაფერს. თავს ვაიმედებთ მით, რომ კაცი თავის სიცოცხლეში ბევრს რასმეს გააკეთებს. მართალია, კაცი თავის სიცოცხლეში ბევრს რასმეს გააკეთებს, მაგრამ იმ პირობით კი. რომ აწმყო დღის საქმე მეორე დღისთვის არ გადადვას, ამ წლის საქმე მეორე წელში არ გადიტანოს. თავის დროზე თუ არ გაკეთდა საქმე, თავის დროზე თუ არ ითქვა სათქმელი სიტყვა, ის საქმე და სიტყვა მკვდარია ჩვენთვის და ჩვენ აღარ მოვესწრებით მის გაკეთებას და მის თქმას სხვა დროს...

ყველა ჩვენგანი ცხადათ გრძნობს, რომ ჩვენმა მოღვაწეობამ შესამჩნევი კვალი ვერ დააჩინა ცხოვრების სარბიელზე. რისთვის? მისთვის, რომ ჩვენში არ იყო ერთსულობა და ერთგულობა.

დიახ, ჩვენ ჯეროვანად ვერ ვასრულებთ ჩვენს თანამდებობას და მოვალეობას, და ამიტომაც ჩვენი სამსახურით შესამჩნევ კვალს ვერ ვამჩნევთ ცხოვრების სარბიელზე.

ღმერთო, შენ მოგვანიჭე ერთსულობა, ერთგულობა და სიყვარული საქმისა! ღმერთო, შენ მოგვანიჭე სწავლა და მეცნიერება მსახურებისათვის შენდა სადიდებლად, ჩვენდა სამწყსოთა სანუგეშოდ და მამულის სასარგებლოდ. მშვიდობით, 1894 წელიწადო! ღმერთმან კარგი ფეხით წაგიყვანოს.

მშვიდობით თქვენც, ჩვენო საყვარელნო მკითხველნო! მოგილოცავთ წარსული წლის მშვიდობით გატარებას და მომავალი წლის ბედნიერად მიგებებას. სრული იმედია, 1895 წელშიაც ჩვენში არ გაწყდება ის მჭიდრო კავშირი, რომელიც დღემდის სუფევდა.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატების კრება ქ. ქუთაისში 23, 24 და 25 ნოემბერს 1894 წ.

როგორც ჩვენმა მკითხველებმა უწყიან, იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატებს კრება ჰქონდათ ქ. ქუთაისში წარსული ნოემბრის 23, 24 და 25 რიცხვებში. კრება იყო დანიშნული როგორც ოთხ-კლასიანი სასულიერო სასწავლებლის ისე ქუთაისის სასულიერო სემინარიის საქმეების შესახებ. პირველ დღეს, 23 ნოემბერს, გამოცხადდა საკმაო რიცხვი დეპუტატებისა, რომ კრება გახსნილიყო. კრებამ აღირჩია თავმჯდომარედ დეკ. დ. ღამბაშიძე და საქმის მწარმოებლად მღვდელი იუსტინე ტაბიძე. 24 ნოემბერს კრება შეუდგა სასულიერო სასწავლებლის სამმართველოის, ყოვლად სამღვდელოის და სემინარიის ინსპექტორის წინადადებათა განხილვას.

პირველად კრებამ განიხილა წარსული 1893 წ. ანგარიში სასწავლებლის ხარჯთა აღრიცხვისა. რომელიც დაბეჭდილი დაურიგდა სამღვდელოებას. ხსენებული ანგარიში შემდეგ ცოტაოდენი მსჯელობისა და განხილვისა დაამტკიცა კრებამ; მხოლოდ სამღვდელოებამ საჭიროდ დაინახა ეთხოვა მღვდელმთავრისათვის, რომ ამიერიდგან სმეტის გარეშე ნუ მოახდენენ რაიმე ხარჯსო.

შემდეგ განხილულ იქმნა სასწავლებლის მომავალი წლის ხარჯთა აღრიცხვა. სმეტით სამღვდე-

ლოებას ეთხოვებოდა 14 ათას მანეთზედ მეტი. სამღვდელოებას ყოველ წელიწადს ექვს სასწავლებლის შესანახავად ცამეტი ათას ორას ოთხმოცდა ცხრა მანეთი. ამას გარდა სამღვდელოებას ეთხოვებოდა ათას ორას მანეთამდე, რომელიც დაუხარჯავთ გარეშე პანსიონერებზე საერო წოდებისაგან სწავლის უფლებისათვის შემოსულ ფულებიდგან; ეს 1200 მ. სასწავლებლის სამმართველოს სესხებითი სახით დაუხარჯავს, რადგან სამღვდელოებისაგან შემოსული ფულები აღარ ჰყოფნიათ. სამღვდელოებას ეთხოვებოდა კერძო პირებზე. მცხოვრებ პანსიონერების შესანახავად სამი ათას მანეთამდე. უწმიდესი სინოდის განკარგულებით ამ წლიდგან სასწავლებლის იმ მასწავლებლებს, რომელთაც სწავლა დამთავრებული აქვთ სემინარიაში და რომელთაც წელიწადში 12 გაკვეთილზე 420 მანეთი ეძლეოდათ, ემატებათ 80 მან. და ამ ფულებსაც ითხოვდა სამღვდელოებას სასწავლებლის სამმართველო იმ მასწავლებელთათვის, რომელნიც მსახურობენ სასწავლებლის პარალელურ და მოსამზადებელ კლასებში. წინეთ ამ მასწავლებელთ თითოეულ ზომეტებულ გაკვეთილზე ეძლეოდათ ოცი მანეთი და ეხლა სინოდის განკარგულებით ემატებათ თუმანი, ე. ი. ეძლევათ სამი თუმანი. ეს ფულებიც ეთხოვებოდა სამღვდელოებას.

სამღვდელოებამ შემოსავლის ახალი წყაროს გამონახვა შეუძლებლად დაინახა, ამისათვის კრებამ ხარჯთა აღრიცხვის განხილვას მიაქცია ფიცხელი ყურადღება. შეშისა და მოსამსახურეებისათვის იმოდენიგე ფულები იყო მოთხოვნილი, რამდენიც ითხოვებოდა იმ დროს, როდესაც სასწავლებელში იყო პანსიონი. წყალზე პანსიონის დროს ხარჯებოდა 18 თუმანი და ეხლაც ამდენსავე ითხოვდენ. ერისკაცის შვილებიდგან სწავლის უფლებისათვის მოსამზადებელ კლასებს გარდა, შემოსავლად ნაჩვენები იყო ექვსი ათას მანეთზე მეტი და ამ ფულებიდან სამღვდელოებას უფლება არ ეძლევა თავის შეხედულებით სასწავლებლისათვის მოიხმაროს რამე.

ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ კრებამ ერთხმად გარდაწყვიტა შემოკლება სასწავლებლის შესანახავი ხარჯთა აღრიცხვისა, მასწავლებელთა ჯამაგირების შეუხებლად, 900 მანეთით: უარი განაცხადეს სემინარიელ მასწავლებელთ კიდევ 80 მანეთის ჯამაგირის მომატებაზედ. სინოდმა დღეს დაინახა საჭიროდ 420 ჯამაგირზე ოთხმოცი მანეთის მომატება, როდესაც ამ განკარგულებას თუთხმეტი წლით წინ უსწრო იმერეთის სამღვდელოებამ და თავის კრებაზე 1879 წელში ყველა მასწავლებლებს 500 მ. გაუხადა წლიური ჯამაგირი 12 გაკვეთილისთვის; ამისთვის ეხლა კიდევ 80 მ. მომატებაზე უარი განაცხადა.

კრებამ განიხილა ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი ამბობს: ერისკაცის შვილებისაგან შემოსული ფული უნდა მოხმარდეს სასწავლებლის კეთილმდგომარეობას (на благоустройство) და თუ ამ ხარჯს გადარჩა შეიძლება საჩუქრად მიეცეს მასწავლებლებს და განსაკუთრებით რუსული ენის მასწავლებელთა ზედა კლასებშიო. სამღვდელოებას ეუბნებიან, რომ ეს ფულები არ შეიძლება დაიხარჯოს პანსიონერებზე, სახლის «რემონტზე», მოსამსახურეთა დასაქირავებლად, შეშაზე, წყალზე, ექიმის დაქირავებაზე, საავათმყოფოზე და სხვა ამისთანაებზეო. აგერ წინაზე სამღვდელოებას გამოუცხადეს, რომ სასწავლებელი ირღვევაო და სამღვდელოების ფულები დაიხარჯა 3500 მ. და ამდენს კიდევ თხოვულობდენ. ამისთანა ხარჯზე ერისკაცის შვილებიდამ შემოსული ფულები არ შეიძლება დაიხარჯოსო და სხვ.—მაშ რაზედ უნდა დაიხარჯოს? არაფერს ვიტყოდით ამაზე და არც სამღვდელოება მიაქცევდა ყურადღებას, რომ ეს ფულები ცოტა იყოს. არც ერთ სასწავლებელში არ იქნება იმდენი ერისკაცის შვილები, რამდენიც არის ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში. სხვას თავი დავანებოთ და ის იყოს საკმუხარო, რომ ეხლანდელი ზედამხედველის გარდა სხვა ზედამხედველები ამ ფულების შესახებ ანგარიშაც არ იძლეოდენ, ამბობდენ: სამღვდელოებას უფლება არა აქვს ამ ფულებზე ანგარიში მოითხოვოსო!!.

ეხლანდელმა კრებამ ერთხმად გარდაწყიტა: «ეთხოვოს მისს ყოველად უსამღვდელოესობას იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს, რათა იშუამდგომლოს უწმიდესის სინოდის წინაშე, რომ ერისკაცების შვილებისაგან შემოსული ფულები მთლად სასწავლებელს მოხმარდეს სამღვდელოების სიღარიბისა და ჩვენი სასწავლებლის განსაკუთრებული მდგომარეობის მიხედვით. თუ მათმა მეუფებამ ესრეთი შუამდგომლობა არ ინებოს, რომელიმე მოსაზრებათა გამო, მაშინ მიენდოს ჩვენგან დეკ. დ. ღამბაშიძეს, თხოვნა მიართვას უწმიდეს სინოდს და ითხოვოს, რომ სინოდმა მოგვანიჭოს უფლება ერისკაცის შვილებისაგან შემოსული ფულები სწავლის უფლებისათვის მთლად სასწავლებელს მოხმარდეს და ან სრულებით განთავისუფლებული ვიქნეთ ერისკაცის შვილებისაგან და ნუ იქნებიან მიღებულნი იგინი, რაგან ერისკაცის შვილები იქერენ მომეტებულს ადგილს სასწავლებელში და სამღვდელოება იძულებული ხდება პარალელური კლასების ხარჯი იხადოს».

25 ნოემბერს, დილით, ათ საათზედ გაიხსნა კრება, რომელსაც თავმჯდომარემ, თანახმად უწმიდესი სინოდის უკაზისა, მისცა წინადადება, თუ რას შეეწევა სამღვდელოება თავის საშუალებიდან ქუთაისის სასულიერო სემინარიის სახლის ასაშენებლად, ან რა წყაროს შეუძლია უჩვენოს ამ სემინარიის სამუდამო შესანახავად. კრებამ ჯერეოვანის მოფიქრებისა და გამოკვლევის შემდეგ შესწირა ერთ დროებითად ამ სემინარიის სასარგებლოდ ჩვიდმეტი ათასი მანეთი და ნიადაგ წყაროდ ფულის შესავლისა სემინარიის შესანახავად თავის მხრით მიუთითა იმ საეკლესიო ხაზინის ფულებზე, რომელიც იმერეთიდან და სამეგრელოდან იგზავნება თბილისის სასულიერო სემინარიაში ყოველ წლობით და რომელი ფულიც შეადგენდა არა ნაკლებ თუთხმეტი ათასი მანეთისა; ამას გარდა სამუდამო წყაროდ უჩვენა სანთლის ქარხნის შემოსავალი, რომელი შემოსავალიც მცირე წყაროს არ შეადგენს, თუ ამ ქარხნის საქმე რიგიანად იქმნა დაყენებული. სამღვდელოებამ ცხადათ აუხსნა მართებლობას თავისი ღარიბული მდგომარეობა და მასთან აღუთქვა, რომ თუ მათ გაუმართლდათ ის აღთქმა და იმედი, რომელიც გამოეცხადათ სამღვდელოებისათვის ჯამაგირების დანიშვნის შესახებ, მაშინ იგინი უზრუნველ ჰყოფენ სემინარიას ნიეთიერად... განაცხადეს, რომ დღეს მათ აღარ შეუძლიათ მეტის გაიღახდა, რადგან ოთხ-კლასიან სასწავლებელზედ ყოველ წლობით ეხარჯებათ 13 ათასი მანეთი, ქალების სასწავლებელზე 8 ათასი მანეთი და სამუდამო ხელშეუხებელი თანხის შესადგენად ყოველ წლობით იხდიან 4 ათას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარეთს. ეს გადასახადი გაგრძელდება, ვიდრე 50 ათასი მანეთი არ შედგება.

შემდეგ ამისა თავსმჯდომარემ მიმართა კრებას შემდეგი სიტყვით: „მამანო დეპუტატნო! მოგეხსენებათ, რომ ქუთაისის სემინარიის თითოეულ კლასში ორმოცი მოწაფის მეტის მიღება არ შეიძლება, მაგრამ სინოდმა მოახდინა განკარგულება თხოვნისა გამო რომელთამე პირთა, რომ ამ წელში 50 მოწაფე მიეღოთ და კიდეც მიიღეს ათი მოწაფე. რადგან შეიძლება შემდეგში ორმოცის მეტი არ მიიღონ, ჩემის აზრით, საჭიროა ეხლავე ვითხოვოთ სხვა თუ არა, ის მაინც, რომ ას სემინარიის ყოველ კლასში 50 მოწაფეს იღებდენ ხოლმე ყოველთვის. კრებამ ერთხმად დაადგინა: «ვითხოვოს ყოვლად სამღვდელოს იმერეთის ეპისკოპოსს გაბრიელს იშუამდგომლოს უმაღლესის მართებლობის წინაშე, რომ ქუთაისის სემინარიის ყოველ კლასში იქმნეს მიღებული 50 შაგირდი, რადგან ეს სემინარია არის გახსნილი მთელი დასავლეთი საქართველოის სამღვდელოებისათვის.

კრების გამთავეს რამდენიმე დეპუტატმა აღძრა კითხვა სემინარიის სახლის ასაშენებელი ადგილის შესახებ. თავსმჯდომარემ გამოუცხადა კრებას, რომ სემინარიის სახლის ასაშენებლად ადგილი მართებლობას, თითქმის არჩეული აქვს და ამაზედ ბაასი უადგილო იქნებაო. «ნაციხვარი» ძლიერ ცოტა არის სემინარიის სახლის ასაშენებლად, მაგრამ ბაგრატის ტაძრის ზემო გვერდი ადგილი, რომელიც დღემდის ლოლაბერიძეებს ეკუთვნოდა, მაგრამ დღეს ნამდვილი საბუთებით საეკლესიო აღმოჩნდა, მშვენიერი ადგილია სემინარიისათვის და ჩემის აზრით ჩვენ თვითონ ვითხოვოთ მთავრობას, რომ სემინარიის სახლი უსათუოდ ამ ადგილზე აშენდეს. ეს ადგილი ჰავით და მდებარეობით ყველა ადგილს სჯობს ქუთაისში. წყალიც ადვილად გამოიყვანება ამ ადგილზე დასავლეთ-ჩრდილოეთის მხრიდამ და გზაც მშვენიერი გაკეთდა ეხლა გორაზე. სწორეთ ამ ადგილზე იყო სასახლე მეფის ალექსანდრესი და ქუთალიკოსისა, როდესაც რუსეთის მეფის ალექსი მიხაილია ძისაგან გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ საჩუქრებით ქუთაისში. ზოგიერთები ამბობენ, რომ გორაზე სიარული საძნელო იქნება შაგირდებისათვისო, მაგრამ ეს მიზეზი უსაფუძვლოა: სემინარიის ყველა მოწაფენი ვალდებულნი არიან თვითონ სემინარიაშივე იცხოვრონ.

სამღვდელოების კრებამ ერთხმად განაცხადა სურვილი, რომ სემინარია უთუოდ ამ ადგილზე აშენდეს, რადგან ყოველთვის სამღვდელოებას სემინარიის სახლის ასაშენებლად ეს ადგილი ჰქონდა სახეში და არა სხვა, როგორც ეს ეხლა ცხადათ სჩანს სემინარიის დაარსების თარიღზე 1875 წელში შემდგარი საქმისაგან.—იყო კიდევ სხვა კითხვებიც აღძრული და გარდაწყვეტილი, მაგრამ ჩვენ მათ არ ვეხებით, რადგან მაგდენად შესანიშნავნი არ ყოფილან.

25 ნოემბრს, საღამოს კრებამ დასრულა თავისი საქმეები. დეპუტატებმა ხელი მოაწერეს შემდგარ 14 ჟურნალს და ყველა დიდი მადლიერი წავიდა შინ. კრების გამთავეს, თითქმის, ყველა ამას ამბობდა: სწორეთ კარგა ხანია, რომ ასე წყნარად, ასე ერთგულობით და ერთსულობით მსჯელობა არ ყოფილა კრებაზე და ღმერთსა ვსთხოვთ, რომ შემდეგშიაც ეს ასე სწარმოებდეს ხოლმე.

დამსწრე.

ეკლესიის კურთხევა სოფ. უშაბათში (სენაკის მაზრაში) 10 ოკტომბერს 1894 წ.

დღეს აღგვისრულდა სურვილი, რომლის განხორციელებას დიდის ტანჯვით და ვაებით ვცდილობდით მე და ჩემი ღარიბი ორმოცი კომლი მრევლი. დღეს დაგვიშვიდდა გული, რომელიც, ეს ოთხი წელია, ამის გამო ძგერდა. ჩვენთან ერთად ბავშვებიც რაღაც განურკეველის აღტაცებით მოე-

ლოცდნენ ამ ეკკლესიის საკურთხად დანიშნულს დღევანდელს დღეს. ალბათ, უხაროდათ ამ ტაძარში ღვთის-მსახურებაზე დასწრება. ამდენს ხანს თავისს ეკკლესიაში ღვთის-მსახურებას მოკლებულთ უხაროდათ, რომ ეღირსათ საკუთარს ეკკლესიაში თავისუფლად დგომა და ღვთის-ვედრება. მრევლმა დიდი შრომა და ხარჯი გასწია ამ ეკკლესიის აშენების შესახებ. ოკტომბრის თვის ათს აკურთხეს ეს ეკკლესია წმ. გიორგის სახელობაზე.

9 რიცხვს, საღამოის ხუთს საათზე მობრძანდა მისი მეუფება, გურია-სამეგრელოის ეპისკოპოსი გრიგორი, რომელსაც ეკკლესიის გალავანში მიეგება ადგილობითი კრებული აუარებელი ხალხით და ზარების რეკით. მისი მეუფება შებრძანდა ეკკლესიაში. ეკკლესიის კურთხევა დაიწყო ამ საღამოს ღამისთევის ლოცვით... მეორე დღეს, დილის 8 საათზე, დაიწყო ეკკლესიის კურთხევა. ეკკლესია სავსე იყო მლოცველებით; ყველა მახლობელი სოფლებიდამ შეგროვდა ხალხი დასასწრებად ეკკლესიის კურთხევის დღესასწაულობაზე. ზუგდიდის მაზრიდამაც იყო ხალხი მოსული. წირვის გათავების შემდეგ მისმა მეუფებამ მიმართა მლოცველებს შემდეგი სიტყვით: «მოგილოცავთ თქვენ, მართლ-მადიდებელნო ქრისტიანენო, ამ სულიერ სიხარულებას, ამ ეკკლესიის კურთხევას. ახლა ეს ეკკლესია შეიქნა სახლად ღვთისა, რომელიც იტყვის: «აწ ავირჩიე და ვაკურთხე სახლი ესე, თვალნი ჩემნი იქმნებიან ახილულ და ყურნი ჩემნი მიმართულ ლოცვისადმი სახლისა ამის». ეკკლესიას მართლ-მადიდებელთათვის დიდი მნიშვნელობა აქვს. ეს არის სამყოფი თვით ღვთისა და ადგილი მისის წმ. საიდუმლოთა შესასრულებელი. ტაძარში უერთდებიან ერთმანერთს მორწმუნენი. ეკკლესია მორწმუნეთათვის არის ნუგეში და მხიარულება. ეკკლესიაში ქრისტიანე სულით ეძლევა განსვენებას ქვეყნიური ამაოებისაგან; ეკკლესიაში ქრისტიანე აქებს და ადიდებს ღმერთსა, რომლისაგან მიიღო მან არა მარტო ნივთიერი ქონება, არამედ თვით სიცოცხლეც. ამისთვის ყოველი ქრისტიანე მოვალე არის ნიადაგ ზრუნავდეს ეკკლესიის გამშვენებას. ეკკლესიის შენობის მზრუნველობასთან ერთად თქვენ უნდა იზრუნოთ თქვენი სულის ტაძრისათვისაც. სხეული არის ტაძარი სულის წმიდისა. ეს ღვთის სული, რომელიც სცხოვრობს თქვენში, არ უნდა გააქროთ თქვენში. თქვენ უნდა ზრუნავდეთ ზნეობრივი სისრულით და კეთილი საქმეებით გაიმშვენოთ თავი. თუ თქვენ იცხოვრებთ უკანონოდ, მაშინ არ იქნებით ღირსი, რომ თქვენში იცხოვროს ღვთის მადლმა. როგორც ამ ეკკლესიის გასაშენებლად მასალას თქვენ ამზადებდით თანდათან, ისე უნდა მოამზადოთ თქვენი თავი კეთილი საქმეებით და ზნეობრივად, თუ გინდათ, რომ თქვენში მუდამ ცხოვრებდეს ღვთის მადლი. ამასთან, საჭიროა, მოიყვანდეთ ეკკლესიაში ბავშვებს, რომ მიეჩვიონ ისინი ეკკლესიაში სიარულს და ლოცვას. რასაც შეხედავს და გაიგონებს ბავშვი, იგი ყოველივეს უცებ შეითვისებს. საჭიროა ისინიც მიეჩვიონ ეკკლესიაში სიარულს და ლოცვას. აღზრდაზეა დამოკიდებული მათი მომავალი. საჭიროა სახლშიაც აუხსნათ ხოლმე ბავშვებს ეკკლესიაში სიარულის და ლოცვის საჭიროება. შთააგონებდეთ მათ ღვთის შიშს და მიაჩვევდეთ მაცხოვრის მცნებათა აღსრულებას. თუ ამ სახით აღზრდით შვილებს, მაშინ ისინი შეიქნებიან ნამდვილი ქრისტიანენი და საზოგადოების სასარგებლო წევრნი». ეკკლესიიდამ გამოსვლის შემდეგ მისმა მეუფებამ აკურთხა მლოცველები და დაურიგა ყველას წმ. ჯვრები. ეკკლესიის კურთხევის დღეს სამრევლომ გამართა სადილი, სადაც ბრძანდებოდა მისი მეუფებაც თავისი კრებულით. შემდეგ სადილისა მისი მეუფება თავისი კრებულით წაბრძანდა ფოთში. დიდ ხანს დარჩება დაუვიწყარი ეს დღე ყველა იქ დამსწრეთათვის. ამ ეკკლესიის შენობის აგებაში დიდი ღვაწლი მიუძღვისთ: ადგილობით ბლაღოჩინს, მ. ს. ქავთარაძეს, მღვდელს მ. მაქსიმე გოგინავას, აზნაურთ: კოხტა და ალმასხან წირღვავებს, ევგენი და თეიმურაზ გოგინავებს, რომელნიც ღირსნი არიან მადლობისა.

მღვ. გაბ. დანელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფელი ალისუბანი.

(შორაპნის მაზრიდამ)

თითქმის ათი წელიწადი მეტი გავიდა მას აქეთ, რაც რომ ალისუბნის მთავარ-ანგელოზის ეკკლესიის მრევლს თავის საკუთარს ეკკლესიაში წირვა-ლოცვა აღარ მოუსმენიათ, ეკკლესიის უმექონლობის გამო. დღეს კი, 16 ამა ნოემბრის, ღვთის მადლით, ღირსნი გავხდით ახალი ქვის ეკკლესიის კურთხევისა და მასში წირვა-ლოცვის მოსმენისა. ეკკლესიას კურთხევამ და ამ დღეს ყოვლად სამღვდელო გაბრიელის მიერ წარმოთქმულმა ქადაგებამ, მრევლი გაამხნევა და საზოგადოთ გაუღვიძა ხალხს სურვილი ქველის მოქმედებისა და წირვა-ლოცვის მოსმენისა.

ხალხი ცოტათ თუ ბევრად მიხვდა, რომ ეკკლესია რაც უფრო კარგ მორთულია, მით უფრო სასიამოვნოა მასში წირვა-ლოცვის მოსმენა; ამისათვის ყოველი პირი ცდილობს ცოტა რამე წვლილი მაინც შესწიროს ჩვენს ახალს ნაკურთხს ეკკლესიას. მაგალითად ბ. ნიკო ჩიკვაიძემ თავის ხარჯით შემოსა ტრაპეზი, გააკეთებინა სული წმიდის სხივი, მაცხოვრის ჯვარცმის ხატი და შემოსწირა ორი დიდი ხატი, დაწერილი ფიცარზედ; აგრეთვე გლეხმა ალექსანდრე თურქაძემ, მცხოვრებმა სოფელ ალისუბანში, შემოსწირა ღვთის მშობლის ხატი და ოდიკის სასყიდლად შემდგომმა პირებმა შემოსწირეს ფული: იოსებ თურქაძემ, კირილე თოთლაძემ, მიხეილ ბოჭორიშვილმა და ვლადიმერ ხუჯაძემ.

გულითად მადლობას უძღვნით ამ პირებს და ვსთხოვთ ღმერთს, რომ მათ მიმბაძველნი აღმოუჩნდნენ ყოველთვის —

მღვდელი მიხ. ზუაზიძე.

მაცხოვრის შობის გამო.

(სახსოვრად ღვთივ-განსვენებულის ხელმწიფის ალექსანდრე მესამის, მშვიდობის ყოვლად წოდებულისა).

ცას, მტრედის ფრად მოწმენდილსა,
გადაჰკვრიან ვარსკვლავები
და მაცდურად მის სივრცეში
მიმორბიან, ვით ცელქები.
იმათ მზრუნველ დედასავით
ნაზად შეტრფის ბადრი მთვარე,
სიყვარულის შუქს ესვრის მათ
მკრთალ—ფეროვნად მოელვარე.
სიჩუმეა... ნიავიც კი
სადღაც ამ დროს მიმალულა,
და ბუნებაც, დიდებული
ხვაშიადით გამსჭვალულა.
მაღლობ ადგილს გაშენებულს
ქალაქს ბეთლემს ტკბილად სძინავს,
წყნარი ღამის საფარველი
იმის არე-მარეს ჰფარავს...
ცელქი, მარდი და ანკარა
რუ მის გვერდით მოჩუხჩუხებს
და უმღერის მის მიდამოს
საამურსა ძილის-პირებს.
სძინავს ბეთლემს... ამას თავსა
დაცქერია კლდე ტიტველი;
კლდის ნაპრალებს მთვარე დანათის,
ულიმია მას მის ნათელი.
ამ კლდის პირას ბალახს სძოვენ
პირუტყვები მწვანე კორდზედ...
ორი მწყემსი მეგობრულად
საუბრობენ, მსხდომნი ქვაზედ:
„შობის დღიდგან ვიტანჯებით“,
ამბობს ერთი მწყემსთაგანი,
სიკვდილმდე არ გაგვახარებს
წუთისოფლის წყალებანი.
სიღარიბით ვიხოცებით,
გვენატრება ლუკმა პური,
მწარე ცრემლებს გვაღვრევინებს
ჩვენ ცხოვრება უბედური.
გამოქვაბულს კლდეებში გვაქვს
პირუტყვებთან თავ-საფარი,

ეგლოვობთ ᲩᲐᲕᲑᲔᲓᲡ, მაგრამ ᲯᲔᲠᲔᲗ
ᲩᲔᲜᲘ ᲛᲮᲡᲜᲔᲚᲘ ᲐᲠᲘᲜ ᲐᲠᲘ.
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲨᲘᲨᲘ... ᲝᲛᲘ... ᲡᲘᲡᲮᲚᲘ...
ᲐᲠᲡᲐᲓ ᲢᲙᲑᲘᲚᲘ ᲛᲝᲡᲕᲔᲜᲔᲑᲐ.
ᲒᲐᲭᲔᲠᲔᲡ ᲔᲡ ᲓᲠᲝ! ᲐᲮᲐᲚᲘ ᲓᲠᲝ
ᲜᲔᲢᲐᲕ ᲠᲝᲓᲘᲡ ᲒᲕᲔᲚᲘᲠᲡᲔᲑᲐ.?!.
ᲛᲠᲬᲐᲛᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲝᲕᲐ,
ᲒᲐᲜᲙᲐᲪᲓᲔᲑᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲘ,
ᲛᲝᲘᲡᲞᲝᲑᲐ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲖᲔᲓ
ᲪᲝᲓᲕᲐ, ᲬᲧᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ!..
ᲡᲬᲝᲠᲔᲓ ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲙᲚᲓᲘᲡ ᲨᲣᲐᲒᲣᲚᲡ
ᲪᲘᲗ ᲓᲐᲐᲓᲒᲐ ᲜᲐᲗᲚᲘᲡ ᲡᲕᲔᲢᲘ...
ᲨᲔᲙᲠᲗᲔᲜ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲜᲘ... ᲓᲐ ᲣᲔᲪᲠᲐᲓ
ᲓᲐᲪᲡᲮᲐᲗ ᲛᲐᲗ ᲨᲘᲨᲘᲗ ᲠᲔᲢᲘ.
ᲒᲐᲛᲝᲤᲮᲘᲖᲚᲓᲜᲔᲜ, ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲔᲡ
ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲘ ᲛᲐᲗ ᲗᲕᲘᲡ ᲬᲘᲜᲐ,
ᲔᲣᲑᲜᲔᲑᲐ: «ᲬᲐᲓᲘᲗ ᲘᲥᲐ,
ᲞᲘᲠᲘᲚᲢᲧᲔᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲓ ᲒᲐᲥᲕᲡᲗ ᲑᲘᲜᲐ
ᲘᲥᲐ ᲜᲐᲮᲐᲕᲗ ᲫᲔᲡᲐ ᲦᲕᲗᲘᲡᲐᲡ,
ᲫᲕᲔᲚᲡᲐ ᲩᲔᲠᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲝᲮᲕᲔᲣᲚᲡ,
ᲞᲘᲠ-ᲛᲚᲘᲛᲐᲠᲔᲡ, ᲛᲝᲪᲘᲜᲐᲠᲔᲡ
ᲑᲐᲒᲐᲨᲘᲐ ᲩᲐᲡᲕᲔᲜᲔᲑᲣᲚᲡ».
ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲘᲗ ᲨᲔᲛᲙᲠᲗᲐᲚ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲡ
ᲛᲝᲔᲤᲘᲜᲐᲗ ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘ...
ᲓᲐ ᲦᲕᲗᲘᲡ ᲫᲘᲡᲐ ᲡᲐᲜᲐᲮᲐᲕᲐᲓ
ᲬᲐᲕᲓᲔᲜ ᲒᲐᲩᲥᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ.
ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲪᲐᲖᲔᲓ ᲒᲣᲜᲓ-ᲒᲣᲜᲓᲗᲐ
ᲐᲜᲒᲔᲚᲝᲖᲜᲘ ᲓᲐᲓᲘᲝᲓᲜᲔᲜ,
ᲡᲘᲠᲘᲜᲝᲖᲘᲡᲔᲑᲣᲠᲘᲡ ᲮᲛᲘᲗ
ᲐᲛ ᲡᲘᲢᲧᲕᲔᲑᲡ ᲒᲐᲘᲛᲦᲔᲠᲝᲓᲔᲜ:
«ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲦᲛᲠᲗᲡ ᲪᲐᲗᲐ ᲨᲘᲜᲐ,
ᲓᲐ ᲡᲝᲤᲚᲔᲡᲐ ᲙᲘ—ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐ,
ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ,
ᲡᲘᲬᲛᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐ!»
ᲓᲐ ᲛᲬᲧᲔᲛᲡᲔᲑᲘ ᲙᲚᲓᲘᲡ ᲑᲘᲚᲘᲙᲖᲔᲓ
ᲐᲛ ᲓᲠᲝᲡ ᲬᲧᲜᲐᲠᲐᲓ ᲛᲘᲛᲝᲕᲐᲚᲘ
ᲘᲡᲛᲔᲜᲓᲜᲔᲜ ᲐᲛ ᲢᲙᲑᲘᲚ ᲒᲐᲚᲝᲑᲐᲡ
ᲡᲘᲮᲐᲠᲣᲚᲘᲗ ᲒᲐᲜᲛᲐᲭᲕᲐᲚᲣᲚᲜᲘ.

II

ᲛᲐᲠᲗᲚᲐᲪ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲛ ᲒᲕᲘᲥᲐᲓᲐᲒᲐ
ᲣᲠᲗᲘ-ᲙᲠᲗᲘᲡ ᲡᲘᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ,
ᲛᲝᲫᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲗᲐᲕ-ᲓᲐᲓᲔᲑᲐ.
ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲑᲠᲐᲚᲣᲚᲘ...
ᲗᲕᲘᲗ ᲯᲕᲐᲠᲪᲛᲣᲚᲛᲐ ᲮᲐᲚᲮᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ
ᲛᲐᲜ ᲣᲐᲠ-ᲰᲧᲝ ᲪᲔᲪᲮᲚᲘ-ᲮᲛᲐᲚᲘ,
ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐ ᲦᲠᲐ, ᲡᲮᲕᲘᲡᲐ ᲩᲐᲒᲕᲠᲐ,
ᲮᲐᲚᲮᲘᲡ ᲥᲚᲔᲢᲐ ᲡᲐᲢᲘᲠᲐᲚᲘ,
ᲡᲘᲮᲐᲠᲑᲔ ᲓᲐ ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲐ,
ᲙᲐᲪᲘᲡ ᲒᲣᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲑᲘᲚᲬᲕᲔᲚᲘ,
ᲓᲐ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲑᲐᲪ,
ᲑᲔᲕᲠᲘ ᲙᲐᲪᲘᲡ ᲓᲐᲛᲢᲐᲜᲯᲕᲔᲚᲘ...
ᲗᲕᲘᲗ ᲦᲕᲗᲐᲔᲑᲐᲛ ᲜᲐᲗᲐᲜᲡ ᲣᲗᲮᲠᲐᲐ:
„ᲓᲐᲕᲘᲗᲡ, ᲛᲔᲤᲔᲡ ᲣᲠᲘᲔᲑᲘᲡ,
ᲩᲔᲛᲗᲕᲘᲡ ᲢᲐᲫᲠᲘᲡ ᲐᲨᲔᲜᲔᲑᲐ
ᲒᲣᲚᲘᲗ ᲛᲔᲢᲐᲓ ᲔᲡᲣᲠᲕᲔᲑᲘᲡ.
ᲛᲐᲡᲐᲚᲐᲪ ᲙᲘ ᲛᲝᲐᲛᲖᲐᲓᲐ,
ᲓᲐᲘᲬᲧᲝᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ...
ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲢᲧᲕᲘᲚᲐᲓ ᲜᲣ ᲘᲠᲯᲔᲑᲐ,
ᲩᲔᲛᲡ ᲛᲐᲒᲘᲕᲠᲐᲓ ᲔᲡ ᲣᲗᲮᲐᲠᲘ.
ᲛᲐᲡ ᲣᲧᲕᲐᲠᲓᲐ ᲛᲔᲢᲘᲡ-ᲛᲔᲢᲐᲓ
ᲮᲛᲚᲘᲡ ᲥᲜᲔᲕᲐ ᲓᲐ ᲦᲕᲠᲐ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡᲐ.
ᲓᲐᲛᲝᲜᲔᲑᲐ ᲣᲪᲮᲝ ᲮᲐᲚᲮᲘᲡ,
ᲓᲐᲬᲧᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲡᲝᲤᲚᲔᲑᲘᲡᲐ...
ᲛᲔ ᲛᲫᲣᲚᲡ ᲝᲛᲘ, ᲛᲫᲐᲒᲡ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲦᲕᲠᲐ...
ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲛᲡᲣᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲓᲐᲕᲘᲗᲛᲐ
ᲛᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲘ ᲐᲛᲘᲨᲔᲜᲝᲡ,
ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲔᲤᲔᲛ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲛᲦᲕᲠᲔᲚᲛᲐ...
ᲘᲛᲘᲡ ᲫᲔᲡᲐ ᲛᲘᲕᲘᲜᲘᲭᲔᲑ
ᲡᲘᲑᲠᲫᲜᲔᲡᲐ ᲓᲐ ᲭᲙᲕᲐᲡ ᲡᲠᲣᲚᲡᲐ,
ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐᲡ
ᲨᲔᲕᲔᲧᲕᲐᲠᲔᲑ ᲘᲛᲘᲡ ᲒᲣᲚᲡᲐ...
ᲛᲨᲕᲘᲓᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲗᲜᲝᲔᲑᲐᲡ
ᲛᲣᲓᲐᲛ ᲛᲝᲬᲐᲓᲘᲜᲔᲑᲣᲚᲘ
ᲘᲡ ᲐᲛᲘᲒᲔᲑᲡ ᲛᲔ ᲢᲐᲫᲐᲠᲡᲐ
ᲛᲣᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲘ...

III

ნეტავ მეფეს, ვინაც იყო
მოყვარული მშვიდობისა:
ღირსი ის არის ცხებული
ღვთის ძედ სახელ-წოდებისა,
არ ვთვლი გმირად მას, ვინც იცის,
კაცს ერთ უნდა დასცეს ხმალი,
დაუჩეხოს ძვალი-ხორცი,
დაუბნელოს საწყალს თვალი.
არ ვთვლი გმირად მას, ვინც იცის
თოფის კარგად დამიზნება,
რომ ტყვიითა თავის მოძმეს
დაუბნელოს მან ცხოვრება.
არ ვთვლი გმირად მე იმ მეფეს,
ვინცა ბევრი სისხლი ღვარა,
ბევრი ხალხი დაიმონა,
ბევრს სიცოცხლე გაუმწარა.
ის არის გმირი, ვისაც უყვარს
სიმართლე და სათნოება,
ვინც იმათთვის თავს გაწირავს,
მათთვის მსხვერპლად იწირება.
ის არის გმირი, ვისაცა აქვს
ჭეშმარიტი მოთმინება,
მტერს შეუნდობს შეცოდებას,
იცის მოძმის შებრალება...
იმ მეფეს ვთვლი გმირ-მეფედა,
ვინაც სისხლი არ დაღვარა—
მოერიდა ბრძოლის ცეცხლსა
და მშვიდობა დაამყარა...
მომავალი ასეთს მეფეს
გაადიდებს, გაამერთებს
და მშვიდობისა ძილის პირებს
იმის სახელს უგალობებს.

ილ. ჩხერიმელის-პირელი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ზოგიერთმა მღვდლებმა საჩივარი შეიტანეს უმაღლესს სასამართლოში, რომ უკანონოდ დაადეს ჩვენს სახლ-კარსა და მიწას სათავად-აზნაურო გარდასახადიო. უმართებულესმა სენატმა განიხილა ეს საჩივრები და განმარტა, რომ ვინაიდგან უფლება პირადის აზნაურობისა ეძლევათ მხოლოდ მღვდელთა ქვრივებს, ამიტომ სახლ-კარი და მიწები თვით სამღვდელოებისა, ვითარცა სასულიერო წოდების წარმომადგენელთა, თავისუფალი უნდა იყოს სათავად-აზნაურო გარდასახადისაგანაო.

***

«Правит. вѣст.»-ში დაბეჭდილია საყოველთაო მიწერილობა მიწათ მოქმედების მინისტრისა, რომელიც ტყის ადგილობრივ სამმართველოთა უფლების აღმატებას შეეხება. მინისტრი სახელმწიფო ქონებათა გამგეთ წინ-და-წინვე ნებას აძლევს, თავისის სურვილისამებრ სამსახურისათვის მიწა მოუზომონ ტყის დარაჯთ, ნება დართონ ხოლმე უსასყიდლოდ ხე-ტყის გაზიდვისა ეკკლესიებს, მონასტრებსა და ეკკლესიის მსახურთ შეღავათით დაუთმონ სახლში მოსახმარებელი შეშა ეკკლესიის კრებულს, სახელმწიფო გლეხებად ნამყოფთ, რომლებიც დაზარალებულნი იქმნებიან ცეცხლისაგან და მოინდომებენ სახლის აშენებას, ფასი დაუკლონ სოფლის საზოგადოებათ სასწავლებლის ასაგებად, გამხმარი და წაქცეული ხე-ტყე უვაჭროდ დაუთმონ და გაავრცელონ ვადა ხეტყის ხელ-შეკრულობებისა და ამგვარი, მაგრამ უფრო შეზღუდული უფლება, მინისტრისაგან ტყის დარაჯთა უფროსებსაც ეძლევათ.

***

როგორც ისმის, უწმიდეს სინოდთან არსებულ სამოსწავლო კამიტეტს შეუდგენია პროექტი და

სინოდისათვის წარუდგენია განსახილველად. ხსენებული პროექტი შეეხება საეკკლესიო სამრევლო სკოლების მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმეს. პროექტში მოხსენებულია, რომ თითოეული საეკკლესიო სკოლას მიეცეს მიწა არა ნაკლები 15 დესიატინისა. გარდა ამისა თავიანთ საზოგადოებამ უნდა მისცეს საეკკლესიო სკოლას საკმაო მიწა სამაგალითო პიტომნიკების და ბოსტნების გასაკეთებლად. ამ პროექტის შემადგენელნი შუამდგომლობენ მთავრობის წინაშე, რომ ის საზოგადოებანი, რომელნიც ინახავენ საეკკლესიო-სამრევლო სკოლებს, განთავისუფლებულ იქმნენ იმ გარდასახადისაგან, რომელსაც ისინი იხდიან სამინისტრო საერო სკოლების შესანახავად.

* * *

მომავალი 1895 წლიდამ პეტერბურგში გამოვა ახალი ჟურნალი სახელად «პეტერბურგის სასულიერო მოამბე». ამ ჟურნალის რედაქტორად დანიშნულია მღვდელი ფ. ნ. ორნატსკი.

—

მისი ყოვლად უსამღვდელოესობა იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი 27 დეკემბერს წაბრძანდა დ. ხონში.

—

გუბერნიის უფროსმა ხუროთ-მოძღვარმა სხვა ხუროთ-მოძღვრების და გუბერნიის ექიმის თანადასწრებით დაათვალიერა არქიერის გორაზე ციხე და ლოლაბერიძის ადგილი. ჰაერის მხრით ორივე ადგილი მოიწონეს სემინარიის შენობის ასაშენებლად, მაგრამ ადგილის მდებარეობით უფრო ლოლაბერიძის ადგილი აღმოჩნდა კარგი და საიმედო.

—

ყველა გამოცემანი როგორც დეკანოზის დ. ღამბაშიძისა, ისე „მწყემსი"-ს რედაქციისა მსურველთ შეუძლიათ მოიპოვონ წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში.

—

«მწყემსი»-ს ხელის მომწერთ ამა წლის დაპირებული საჩუქარის მიღება დაუგვიანდებათ იანვრის თვის დამლევამდე, რადგან აღთქმული სურათების დამზადება ვერ მოუსწრიათ მოსკოვში.

—

ჯოლო შეისარონის წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდლის მაქსიმე ანჯაფარიძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში დასაბეჭდათ შემდეგი წერილი:

მ. რედაქტორო! გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ პატივცემული „მწყემსი"-ს საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ ჩემდამი რწმუნებულს სამრევლოთაგანთ, რომელთაც შემოსწირეს ზემოხსენებული ეკლესიის შესამკობლად ფული და ნივთები. აი სია შემწირველთა: მაქსიმე ხურცილავამ 10 მ., აზ. შელეგიებმა სოლომონ გიორგის ძემ 10 მ., გუძა ივანეს ძემ 8 მ., ბახვა როსტომის ძემ 3 მ., სოლომან კოსტას ძემ 2 მ.

პეტრე და ივანე ჯლანჯლავებმა 16 მ., გიგო და სტეფანე გუტას ძე ხურცილავებმა 15 მანეთი, ნესტორ ობიშხიას ძე ხურცალავამ 5 მ., კონტოსია, სოლომონ და ზურაბ კარტოზიებმა 20 მ., გუძა ფაცაციამ 5 მ., იაკობ და თეოფანე პირტახიებმა 10 მ., ესტატე, პეტრე, ივანე, ნიკო და იაკობ ხურცილავებმა 5 მ., ზურაბ ნემსაძემ 2 მ., დიმიტრი ლასავამ 2 მ., გვატი და ივანე დავითიებმა 2 მ. აზნ. პეტრე ბარკალაიამ 5 მ., გიორგი და მაქსიმე მიქავებმა 3 მანეთი.

ამ კეთილ პირთა შემოწირული ფულებით ზოგიერთი ნაკლულევანება ეკლესიისა შევავსეთ. ვიყიდეთ ბარძიმ-ფეშხუმი, კარსკელაკი, გასაზავებელი, ლახური, გვირგვინი, ხალიჩა, სანაწილე, სახარების გასაწყობი, რომელზედაც დაიხარჯა სულ 57 მანეთი. დანარჩენი ფულებით გავაკეთეთ ცემენტის იატაკი. არხიმანდრიტმა იერონმა შემოსწირა ერთი წყვილი სამღვდელო შესამოსელი, ერთი ხელი სადიაკვნო შესამოსელი, ორი წყვილი დაფარნები ფარჩისა, ტრაპეზის და სამკვეთლოის გადასაფარებელი ფარჩისა და აბრეშუმის ოდიკის შესახვევი.

ყველა ამ პირთ ჩემგან მუდამ მოხსენება ექნება. იმედია ამ პირთ სხვებიც წაბაძვენ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმსნეობაზე.

წმიდა მოწამე შუშანიკი.

ღვთის-მოშიში და კეთილ მსახური შუშანიკი (სუსანა), იყო ასული ქართლის მეფისა; იგი, საუბედუროდ, მიეთხოვა ვასკენს, რანის მფლობელ თავადს. ვასკენი იყო ურჯულო და ძლიერ სასტიკი კაცი. წმიდა შუშანიკმა მალე გაიგო თავისი მეუღლის ხასიათი, მაგრამ მოთმინებით იტანდა ყოველივე შეწუხებას, მშვიდობიანად ცხოვრებდა ვასკენთან რამოდენიმე წელიწადი და ამ ხნის განმავლობაში შეეძინა სამი ვაჟი და ერთი ქალი. დაბოლოს ისეთი გარემოება მოხდა, რომელმაც სამუდამოდ გააშორა შუშანიკი ქმარს, ვასკენმა უარ-ჰყო ქრისტე და შეიქმნა ცეცხლის თაყვანისმცემელი!

ვასკენისათვის ძალა არავის დაუტანებია უარეყო ქრისტე, იგი თავის ნებით წავიდა სპარსეთში, წარსდგა შაჰის ფერუზის წინაშე და განუცხადა მასს, რომ შაჰის ერთგულებისა გამო მან უარ-ჰყო ქრისტე და დღეიდგან როგორც სპარსელი, იქმნება ცეცხლის თაყვანისმცემელი. ასეთი საქციელი ალბად მიტომ ჩაიდინა ვასკენმა, რომ მოემხრო შაჰი და მასს შემწეობა აღმოეჩინა ვასკენისათვის თუ, ვინიცობაა, უკანასკნელს ომი მოუხდებოდა საქართველოს მეფესთან და ბერძნებთან. ცხადია, რომ ვასკენის ასეთი საქციელი ძლიერ მოეწონებოდა შაჰის, რომელმაც დიდის პატივისცემით მიიღო იგი და მდიდრულად დასაჩუქრებული გამოისტუმრა საქართველოსკენ.

როცა ვასკენი თავის სამთავროის საზღვარს მოუახლოვდა, სარწმუნოების უარის მყოფელმა გაგზავნა თავის სატახტო ქალაქში, ცურტაგში, მოსამსახურე, რომელსაც უნდა ეცნობებია მცხოვრებთათვის ვასკენის მოსვლა, რომ იგინი დიდის ამბით მიგებებოდნენ ვასკენს.

მოსამსახურე სისწრაფით მივიდა სატახტო ქალაქში, შევიდა მთავრის სასახლეში და მიესალმა კნეინას და უამბო, რომ მისი მეუღლე მშვიდობით მობრუნდა. წმ. შუშანიკი, რომელმაც არაფერი არ იცოდა თავის მეუღლის სპარსეთში მოგზაურობის შესახებ, რაღაცა ცუდსა გრძნობდა; ამიტომ მოსამსახურის მისალმებაზე შუშანიკმა წარმოსთქვა: «თუ ცოცხალია სული ვასკენისა, იყვენით მრთელი სხეულით როგორც ის, ისე შენ; წინააღმდეგ შემთხვევაში მე არა მსურს ვიხილო იგი და არც მის შესახებ ამბის გაგონება მსურს და თუ ესეა, შენი მოსალმება შენვე დაგიბრუნდეს უკანვე». ბოლოს შუშანიკმა სთხოვა მონას, ეამბნა მისთვის ყოველივე სიმართლე. მონამ გულის წმიდით აუმბო შუშანიკს ყოველივე. წმ. შუშანიკის წინასწარი გრძნობა მართალი გამოდგა და ამ დღიდგან მის გულში აღმოჩნდა ვასკენის სიყვარული და მასთან ერთობა. თვალცრემლიანი და შეწუხებული დავარდა შუშანიკ მუხლებზე, მაგრამ არც ერთი სიტყვა დრტვინისა და საყვედურისა არ წამოცდენია მის პირს. მან მხოლოდ წარმოსთქვა: «შებრალებისღირსია ვასკენი, ვინაიდგან მან უარ-ჰყო ჭეშმარიტი ღმერთი ქრისტე და შეერთდა ურწმუნოთ!» შემდეგ სიჩქარით ადგა, წაიყვანა ბავშვები და გაემგზავრა წმ. ტაძარში. ტაძარში შუშანიკმა დაიყენა შვილები თავის წინ, ტრაპეზის პირდაპირ, და მხურვალედ დაიწყო ლოცვა და ამბობდა: «უფალო ღმერთო ჩემო! შენგან მონიჭებული მყავს მე ეს ბავშვები, შენვე დაიცავ ისინი წმიდა სარწმუნოებაზე და ნუ მოაკლებ მათ სული წმიდის მადლს, რომ იგინი არ იქმნენ მოწყეტილ კეთილი მწყემსის, უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ცხოვართაგან». როცა ეკლესიიდგან გამოვიდა, წმ. შუშანიკმა შვილები სასახლეში გააგზავნა, თვითონ კი შეიდა ერთ პატარა სახლში, რომელიც ეკლესიის მახლობლად იდგა და ვასკენთან ცხოვრებას ამჯობინა მიეღო წვალება ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

„მე მირჩენია მოვკვდე ვასკენის ხელისგან, ვინემ მასთან ერთად ვიცხოვრო,—ეუბნებოდა შუშანიკი თავის მოძღვარს,—იმიტომ რომ მეშინია არ შევებილწო სული ჩემი სარწმუნოების უარის მყოფელთან ერთობით!“

ამ დროიდგან იწყება წმ. შუშანიკის წვალება ქრისტეს სარწმუნოებისათვის.

ამასობაში ვასკენი შევიდა ქალაქ ცურტაგში და, როცა სასახლეში თავის მეუღლა ვერ ნახა, გახელდა და გარდასწყვიტა, რაც უნდა დამართნოდა, მოეკლა შუშანიკი.

ამ მიზნით მან გაუგზავნა შუშანიკს სპარსელი, რომელიც განგებ თვალცრემლიანი ეუბნებოდა შუშანიკს, რომ იმ დღიდგან, რაც თქვენ წახვედი მთავრის სახლიდამ, იქ სიხარული მწუხარებად შეიცვალაო. მაგრამ სპარსელმა თავისი ცრემლით ვერაფერი ვერ გაარიგა. მაშინ ვასკენმა მოუწოდა თავისთან მკვლევლებს და უთხრა მათ: «რატომ დამტოვა მე ჩემმა მეუღლემ? წადით, უთხარით მას, რომ მან განცვუპატიურა მე მით, რომ დატოვა თავისი სახლი და წავიდა სხვის სახლში, მან ჩემს სარეცელზე დაჰყარა ნაცარი».

როცა მღვდლებმა გადასცეს წმ. შუშანიკს ვასკენის სიტყვები, მან მიუგო: «მე კი არ გამიუპატიურებია იგი; წინააღმდეგ ვასკენმა გააუპატიურა თავისი მამის სახლი, ვინაიდგან უარ-ჰყო სარწმუნოებაცისა და ქვეყნის შემომქმედი ღვთისა; უთხარით მას, რომ მე მძაგს იგი».

წმ. შუშანიკის სიტყვებმა კიდევ მომეტებულად გააბრაზა ვასკენი. მან მოიხმო თავისთან თავისი ძმა, მისი მეუღლე და სახელის ეპისკოპოსი ფოტი და გაგზავნა ისინი დედოფალთან და შემდეგი სიტყვები დაბარა მათ: «თუ შუშანიკი თავის ნებით არ დაბრუნდა სასახლეში, მაშინ იგი ძალით იქნება მოყვანილი». დიდხანს არ თანხმდებოდა წმ. შუშანიკი სასახლეში წასვლას, მაგრამ ნათესავების თხოვნამ და ცრემლებმა აიძულეს იგი დაბრუნებულიყო სასახლეში. სასახლეში შუშანიკი დაბინავდა პატარა ოთახში, სადაც ღვთის ვედრებაში ატარებდა დროს.

ორი დღის შემდეგ ვასკენმა გააკეთა სადილი, რომელზედაც ძალით მოიყვანეს წმ. შუშანიკი. სადილზე შუშანიკს არაფერი არ აუღია, და როცა ვასკენის ძმის ცოლმა მიაწოდა შუშანიკს ღვინო აზარფეშით, ამ უკანასკნელმა მიუგო: ჩვენში არ გაგონილა, რომ ქალებს ოდესმე მამაკაცებთან ერთად ეჭამოსთ პური; გამოართვა აზარფეშა და გადააგდო. ამგვარმა საქციელმა მომეტებულად გააცეცხლა ვასკენი; მან დაუწყო გინება და ცემა შუშანიკს, და შემდეგ ბრძანა დაეპატიმრებიათ იგი სასახლის ერთ-ერთ ოთახში.

გავიდა რამოდენიმე დრო. ვასკენმა გაილაშქრა ბერძნების წინააღმდეგ. წმ. შუშანიკი კი ხელახლავ გადაესახლა საეკკლესიო სახლში. ამ დროს დიდი მარხვა იყო და წმ. მოწამე მთელს დროს ლოცვით ატარებდა ტაძარში; ამ სახით რამოდენიმე კვირამ მშვიდობით განვლო. ვნების კვირიაკეში ვასკენი დაბრუნდა თავის სატახტო ქალაქში, და როცა გაიგო, რომ შუშანიკი ტაძარშიაო, შევიდა ტაძარში, მან გალანძღა ეპისკოპოსი ფოტი, სცემა მღვდელს და როცა შუშანიკი დაინახა, გამოათრია იგი ტაძრიდამ და ბრძანა, რომ სასახლემდის მიწაზე თრევით წაეყვანათ იგი; ის გზა, რომელზედაც წმიდანი უნდა წაეთრიათ, ეკკლებით იყო მოფენილი. მთელი ტანთსაცმელი შემოეხა წმიდანს და მთელი ტანი ულვთოდ დაეგლიჯა. სასახლის წინ, ვასკენის ბრძანებისამებრ, წმიდანს ჯოხით ცემა დაუწყეს; 300 ჯოხი დაჰკრეს. მოთმენით აიტანა წმიდანმა ეს ტანჯვა, მხოლოდ უთხრა ვასკენს: «თუ მე არ გეცოდები, შენი თავი მაინც გეცოდებოდეს და შეუდექი ქრისტეს, რომელიც შენ უარ-ჰყავი».

მაგრამ ამ სიტყვებმა ვერ მოალბო ვასკენის სასტიკი და შეუბრალებელი ხასიათი. მან ბრძანა წმიდანისთვის მოებათ კისერზე ჯაჭვი და წაეყვანათ იგი საპატიმროში, სადაც შუშანიკმა გაატარა ექვსი წელიწადი.

ადგილი, სადაც დაპატიმრებული იყო წმ. შუშანიკი, საზარელი რამ იყო, იმ არე-მარეში მეტად მძიმე ჰაერი იყო, წყალი იყო მყრალი და იმასაც ცოტას აძლევდენ წმ. შუშანიკს. საზრდოც ძლიერ მცირე ეძლეოდა წმიდანს. თვითონ ის ოთახი, სადაც წმიდანი ცხოვრობდა, მეტად ვიწრო იყო და აქაც იგი თავისუფლად არ იყო, რადგან მიბმული იყო კედელზე. წმიდანს ანუგეშებდა წმ. ნინოს ჯვარი, რომელიც შეკრული იყო საქართველოს განმანათლებლის თმით.

ამ ჯვარის წინაშე იოხებდა თავის მწუხარებას წმიდა შუშანიკი და მარტო ღვთის-ვედრებაში ჰპოებდა ნუგეშს. მან შეისწავლა ყველა ფსალმუნები და დღე და ღამ იდებდა უფალსა; ცოტა ეძინა და ისიც ფეხის დგომის დროს დიდი მარხვის განმავლობაში, და ან თავის ქვეშ დაიდებდა ხოლმე ქვას. ლოცვით, ღამის თევით და მარხულობით წმ. შუშნიკი წარემართებოდა სულიერს ცხოვრებაში. მისი სახელი გაითქვა მთელს საქართველოში. წმიდანთან ყოველი მხრიდან მოდიოდნენ მნახველნი და სნეულნი იღებდნენ კურნებას, უშვილოებს მიეცათ შვილები, ბრმები ხედავდნენ; ერთი სპარსელი ჯადოქარი შუშანიკმა განკურნა უკურნებელი სენისაგან, როცა წმიდანის რჩევით თავი დაანება მკითხაობას და მიიღო წმ. ნათლის ღება და გაემგზავრა უფლის

წმ. სასაფლაოს თაყვანისსაცემლად. საპყრობილეში ცხოვრებამ და სასტიკმა წვალებამ დაასუსტა წმ. შუშანიკის ტანის სიმრთელე. მეშვიდე წელს წმ. შუშანიკს გამოაჩნდა ტანზე წყლულები და ამ წყლულებში გაჩნდნენ მატლები, რომელთა შესახებ წმიდა შუშანიკი ეუბნებოდა ხოლმე თავის მოძღვარს, რომელიც ხშირად ნახულობდა წმ. შუშანიკს: «უკეთესია აქვე შემჭამოს მე მამაკვდინებელმა მატლებმა, ვინემ იქ. უსიკვდილო მატლმა». წმ. მოწამე ცხადად გრძნობდა თავისი უკანასკნელი ჟამის მოახლოვებას.

როცა წმ. მოწამის სიკვდილის მოახლოვება გაიგო ვასკენის ძმამ, იგი თავის მეუღლით და შვილებით მივიდა წმ. მოწამესთან და სთხოვა მას ცოდვების მიტევება. წმ. შუშანიკმა მიუტევა მას ცოდვები, აკურთხა იგი და მთელი მისი სახლობა და შემდეგი დარიგება მისცა: «ჩვენი ცხოვრება მალე წარმავალია, როგორც ველი მინდვრისა,—დილით აჰყვავდების, საღამოთი კი გასჭკნების. ვინც აქ თავის ქონებას ღარიბებს ახმარს, იგი უმეტეს სასყიდელს მიიღებს საუკუნო ცხოვრებაში. ვინც აქ დაღუპავს თავის სულს, იგი საუკუნო ცხოვრებასა შინა მოიპოვებს მასს».

ბევრი გამოჩენილი პირნი და ბევრი უბრალო ხალხიც დაიარებოდა წმიდანთან საპატიმროში; ყველანი ეთხოვებოდნენ შუშანიკს და სთხოვდნენ ცოდვების მიტევებას და მაცხოვრის წინაშე შუამდგომლობას. როცა დაბოლოს ყველანი გამოეთხოვნენ წმიდანს, ეპისკოპოსმა ფოტიმ აზიარა წმიდანი, გამოეთხოვა წმ. მოწამეს, რომელიც მადლობდა ფოტის, როგორც მამას და კეთილის მყოფელს და მიიღო წმიდანის ხელიდგან წმ. ჯვარი, რომელიც დღეს ინახება თბილისში სიონის ტაძარში. წმ. შუშანიკმა დაიბარა, რომ მისი გვამი დაესაფლავებიათ ტაძარში და შემდეგ ხმამაღლად წარმოსთქვა: «კურთხეულ არს უფალი ღმერთი ჩვენი, რომ განვისვენებ მასში» და მშვიდობით განუტევა სული.—ეს იყო 17 ოქტომბერს 466 წელსა. წმიდანის სიტყვა აღსრულებულ იქმნა. ეპისკოპოსმა იოანნემ დიდის მოწიწებით გადმოასვენა წმიდანის გვამი საპყრობილედან ტაძარში და აქ დაკრძალა მისი გვამი; ხალხი მთელი დღე და ღამე არ შორდებოდა წმიდანის საფლავს და ევედრებოდა ღმერთს განსვენებისათვის წმიდანის სულისა.

წმიდა შუშანიკის სიკვდილს თან მოჰყვა მისი მწვალებლის ვასკენის დასჯაც: კეთილმორწმუნე საქართველოს მეფემ ვახტანგ-გორგასლანმა გამოილაშქრა თავისი ჯარით ვასკენის წინააღმდეგ, დაატყვევა იგი და ჩამოახრჩო.

წმ. მოწამე შუშანიკი.

წმ. შუშანიკის ხსენებას, გარდა 17 ოქტომბრისა, წმიდა ეკკლესია დღესასწაულობს კიდევ 28 აგვისტოს, როცა 586 წელში კათალიკოსმა სამუელმა გადმოასვენა წმიდანის ნაწილები თბილისში, სადაც ეს ნაწილები დაკრძალულ იქმნენ მეტეხის ეკკლესიაში ტრაპეზის მარჯვენით.

ԿԷՆԳՐԱՖԷՒՕՆՆ ԳՐՕՎԷՀՆ.

տարի	ամբողջ	կարևորագոյն	քաջ	հաջողակագոյն
Ֆեվրվարիան	Ֆ	ԿԴ	Է	Ֆ
—	ՆԷ	ԿՆ	Կ	Պ
—	ՆԲ	ՆԲ	Կ	Դ
—	ԿՊ	ԿՔ	Ֆ	Ն
Նոյեմբերիան	Է	Դ	Պ	Բ
—	Բ	ԴԷ	Դ	Ք
—	ՆՊ	ԴԿ	Ն	Ն

ՄԻՈՒԼԵԼԱ ԽԵԼԻՍ-ՄՈՂԵՐԱ 1895 ՏԱՐՈՒԱՆ ՕՐ ԿՎԻՐԵՈՒԼ ԳԱՄՈՒՑԵՄԱՆԱ ՀԱՅԵՐԵՆԻՆ

„ՄՇՏԵՄՍ“-ՆԵՐ

ԵՎ

ՌՈՒՍԵՐԵՆ «ПАСТЫРЬ»-ՆԵՐ

Մեզանի և դանիշնուլեան գաղտնիսա: 1) Հայաստանի Սամլեդելոյ և Սարերոյ Դեղեանց Հանրագիտարանի գանգարգուլեան և մոքմեդեան Սամլեդելոյ և Սարերոյ Մարդեանց, Կոնսիստորիանց և Մլեդել-Մեծարանց; 2) Հայերենի Սամլեդելոյ և Սարերոյ Դեղեանց Հանրագիտարան

სალიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია"

1895 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ-მოსდევენ კვირა-უქმეებს.

ფ ა ს ი:

12 თთვით	. .	10 მ. — კ.	6 თთვით	.	6 მ. —
11 »	. .	9 » 50 »	5 »	. . .	5 » 50
10 »	. .	8 » 75 »	4 »	. . .	4 » 75
9 »	. .	8 » — »	3 »	. . .	3 » 50
8 »	. .	7 » 25 »	2 »	. . .	2 » 75
7 »	. .	6 » 50 »	1 »	. . .	1 » 50

საზღვარ-გარედ დაბარებული ეღირება—17 მან მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ «ივერია» მთელის წლით დაეთმობათ 8 მან.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ Редакцію газеты ,,ИВЕРІЯ"

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოად-გინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ად-რესის შეცვლაზე—40 კაპ.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზე თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო 1-ლი გვერდი—60 მან. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზედ, რამ-დენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამო-იგზავნოს. მიღებული ხელთ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ ან შესწორებულ იქმნება. არ დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა გვარს მიწერ-მოწერას არ დასაბეჭდთა ხელ-ნაწე-რების და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირ-და-პირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავის-უფალ იქმნება ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა 1-ლ საათიდამ 3 საათამდე და საღამობით 7-და 8-მდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 12.

მიიღება ხელის მოწერა 1895 წლისათვის

ყოველ თვიურ ქართულ ჟურნალ

„მოამბე"-ზე

(II წ.)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით

კავკასიისა და რუსეთის ქალაქებში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მან.	1 წლით . .	13 მან.
6 თვით	6 »	6 თვით . .	7 »
3 თვით	4 »	3 თვით . .	5 »

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნე-ლება, შეუძლიან შემოიტანოს: 1 იანვრამდე 4 მან., 1 აპრილამდე 3 მან. და 1 სექტემბრამდე—3 მან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго жур-нала «МОАМБЭ».

რედაქტორი ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი ალექსანდრე ჯაბადარი.

მიიღება ხელის-მოწერა 1895 წლისათვის ორ თვიურ საყმაწვილო სურათებიან ჟურნალ

„ჯეჯილზე“

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

«ჯეჯილში» დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთ-ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი «ჯეჯილი» თბილისში დატარებით ღირება—3 მანეთი, თბილის გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თ-წერეთლისა.

სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1895 წლიდგან ყოველ კვირაში ერთხელ ერთიდგან სამ თაბახამდის.

რედაქცია ყოველ-ღონისძიებას ხმარობს გააუმჯობესოს შინაარსი და სახე გაზეთისა. ამ განზრახვით მან დაიბარა პეტერბურღიდან მრავალი საუკეთესო ცინკზე და სპილენძზე მოჭრილი მხატვრობა.

წლიურად ღირება გაუგზავნელად შვიდი მანეთი, ხოლო გაგზავნით 8 მან. ნახევარის წლისა გაუგზავნელად სამი მან. და ათი შაური, გაგზავნით ოთხი მანეთი; სამი თვისა გაუგზავნელად ორი მან. გაგზავნით სამი მან. თითო ნომერი აბაზათ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში არწრუნისეულ ქარვასლის «ქართულ სახალხო სამკითხველოში» და „წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში», ქალაქს გარეშე ხელის და თვით «კვალის» და «ჯეჯილის» რედაქციაში. (Артиллер. ул. д. Тамашева, возлѣ кадетскаго курпуса).

ქალაქს გარეშე ხელის-მომწერთა შეუძლიათ მიმართონ: ქუთაისში: თ. კირილე ბეჟანის ძეს ლორთქიფანიძეს და ვ. ბეჟანიშვილისა და ძმათ წერეთლების წიგნის მაღაზიებში.—ბათუმში: მათე ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთის სააგენტოში და პავილიონში გერ. კალანდაძესთან.—თიონეთში: ივ. თ. ჩიბალაშვილს.—გორში:—ზაქარია დავიდოვთან და ეკ. ფურცელაძესთან.—ჭიათურაში: თედორე კიკვაძესთან.—ქვირილაში. თ. ხუსკივაძესთან,—ახალ-სენაკში და ოზურგეთში: კ. თავართქილაძესთან.—ჩოხატაურში: მიხ. ჯიბლაძის წიგნის მაღაზიაში.—საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.—თელავში: მ. ცისკარაშვილთან.

ვინც «ჯეჯილსა» და «კვალს» ერთად დაიბარებს, მათთვის წლიურათ ღირება გაუგზავნელათ 10 მან., ხოლო გაგზავნით 12 მან.

საფოსტო ადრესი: Тфлисъ, Редакція «КВАЛИ».

Редакторъ-издатель, П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою. Тифлисъ,* 26 Декабря 1894 г.

Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.